

Image not found or type unknown

## ოჯახში ძალადობის მსხვერპლის საქმე საიამ წარმატებით დაასრულა

საიას ზუგდიდის ოფისი იცავდა ქალს, რომელიც წლების განმავლობაში იყო ძალადობის მსხვერპლი მეუღლის მხრიდან. კერძოდ, მოძალადე წლების განმავლობაში უკრძალავდა მას გარეთ მართო გასვლას, მეზობლებთან, მშობლებთან და ნებისმიერ გარეშე პირთან კომუნიკაციის დამყარებას. დაზარალებული გარეთ გასვლას მხოლოდ მეუღლესთან ერთად ახერხებდა, სხვა შემთხვევაში ბავშვთან ერთად ბინაში იყო ჩაკეტილი, ხოლო ბინის გასაღები მის მეუღლეს დაჰქონდა თან.

დაზარალებულმა 2019 წლის 9 სექტემბერს, როდესაც ბავშვთან ერთად ჩაკეტილი იმყოფებოდა, მოახერხა პოლიციის გამოძახება, რის შემდეგაც მის მეუღლეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო მას კი მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

ბრალდებული სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და 11<sup>1</sup> 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.